

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის
ტექნიკური კომისიის

ბიულეტენი #2

1. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ეგიდით 2017 წელს ჩატარებული წრიული და აღმართის დაძლევის რბოლებზე განხორციელდება მონაწილე ავტომობილების ძრავის კომპონენტების დაპლომბვა.
2. დაპლომბვას ექვემდებარება სარბოლო ავტომობილის ძრავის თავაკი და შემშვები კოლექტორი.
3. დაპლომბვას ახორციელებს ფედერაციის ტექნიკური კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენელი, ფედერაციის მიერ წინასწარ შერჩეული პლომბების საშუალებით.
4. დაპლომბილი კომპონენტები უნდა იყოს წარმოდგენილი ავტომობილზე სარბოლო სეზონის ნებისმიერ მომენტში განხორციელებული ტექნიკური შემოწმების დროს.
5. სარბოლო სეზონის განმავლობაში, დაპლომბილი კომპონენტების შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში, შესაცვლელი დეტალი წარმოდგენილ უნდა იქნას ტექნიკური კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენლის წინაშე დაუზიანებელი პლომბით.
6. ტექნიკური კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენელი ახორციელებს შესაცვლელი კომპონენტის დათვალიერებას, ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შესწავლის მიზნით, რის შემდეგაც ახდენს კომპონენტზე არსებული პლომბის გაუქმებას.
7. ტექნიკური კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენელი ახორციელებს დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი ახალი, ანალოგიური კომპონენტის დათვალიერებას ტექნიკურ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის შესწავლის მიზნით და შესაბამისობის შემთხვევაში, ახორციელებს მის დაპლომბვას.

8. სარბოლო ავტომობილის კომპონენტების პლომბები აღირიცხება ტექნიკური კომისიის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, ავტომობილის ტექნიკური პასპორტის ტექნიკური კომისიის შენიშვნების გვერდზე.
9. სარბოლო სეზონის დასრულების შემდგომ, ტექნიკური კომისია განახორციელებს სატურნირო ცხრილში პირველი 5 ადგილის მქონე მრბოლელის ავტომობილის ძრავის და სხვა კომპონენტების ჩაღრმავებულ შემოწმებას.
10. შემოწმების ხარჯებს ანაზღაურებს მონაწილე.

24/03/2017

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია
ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე

შალვა ზამთარაძე

